პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2022 წლის —— აგვისტო ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N45-ში არსებულ არასაცხოვრებელ შენობაზე თორნიკე კიპაროიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თორნიკე კიპაროიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. №45-ში მდებარე არასაცხოვრებელ შენობაზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N45-ში არსებულ არასაცხოვრებელ შენობაზე თორნიკე კიპაროიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

2021 წლის 11 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილების თანამშრომელი - 25 წლის თორნიკე კიპაროიძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. თორნიკე კიპაროიძე, სახანძრო-სამაშველო ძალებში ერთი წელი მუშაობდა, დაჯილდოებულია მედლით – სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N45–ში მდებარე არასაცხოვრებელ შენობაზე განთავსდეს თორნიკე კიპაროიძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხოიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

GEORGIA
ENTITY OF PUBLIC LAW
Agency For Cultural
Heritage Preservation
Of Ajara

MES 6 22 0000669088

20/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს
ბატონ ტიტე არაშიძეს

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში თქვენს მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის №619631 წერილობითი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მემორიალური დაფის განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია. რაც შეეხება სააგენტოს პოზიციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ბათუმის სახანძრო-სამაშველოს შენობის ფასადზე მემორიალური დაფის განთავსების მიზნით სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, არ ვართ წინააღმდეგი სამუშაოები აწარმოოთ ისე, რომ არ მიადგეს ზიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ

6010 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
N4 L. Gudiashvili street, Batumi 6010

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
მ ო ა დ გ ი ლ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

23/06/2022
N 09-02-16/376

376-09-02-16-2-202206231109

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ
რამაზ ჯინჭარაძეს

ბატონო რამაზ,

2022 წლის 01 ივნისის წერილთან N09-02-16/298 დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს თორნიკე კიპაროიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსებას, გიგზავნით აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გაცემულ თანხმობას (წერილიNMES 6220000669088), კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ბათუმის სახანძრო-სამაშველოს შენობის ფასადზე, მემორიალური დაფის განთავსების მიზნით სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ტიტე აროშიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
მ ო ა დ გ ი ლ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01/06/2022
N 09-02-16/298

298-09-02-16-2-202206011645

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ
რამაზ ჯინჭარაძეს

ბატონო რამაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 11 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილების თანამშრომელი- 25 წლის თორნიკე კიპაროიძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გასცეთ თანხმობა ჩემს ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხულ, ბათუმის სახანძრო-სამაშველო შენობაზე (ქ.ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N45) მემორიალური დაფის განთავსებას.

პატივისცემით,

ტიტე არაშიძე